1. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

ა) სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები (Mass Communication and Media Studies);

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი მედიის კვლევებში (MA of Mass Communications in Media Studies).

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120

დ) სწავლების ენა: ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და აღწერა: პროგრამის მიზანია, მოამზადოს მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის მკვლევარი, რომელსაც შეუძლია აკადემიურ სფეროში ახალი ცოდნის კონტრიბუცია. სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას, პროფესიული უნარები ინდივიდუალური ინტერესის მიხედვით განივითაროს. თავის მხრივ, თითოეული მაგისტრანტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების მიმართულებით საუნივერსიტეტო რესურსის გაძლიერებაში.

პროგრამის მიზანია, რომ მაგისტრანტებმა, ადგილობრივი და საერთაშორისო მედიის კვლევებისა და მათი ურთიერთშედარების საფუძველზე, შეისწავლონ და გააანალიზონ, თუ რა მიმართებაშია მედია საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესთან (განსაკუთრებით, ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში), ჟურნალისტის როლი საზოგადოებისა და კულტურის ტრანსფორმაციაში.

ამ თვალსაზრისით, სამაგისტრო პროგრამა საზღვარგარეთული უნივერსიტეტებისთვისაც იქნება მიმზიდველი. პროგრამა, მასმედიის, მედიაგარემოსა და ინსტიტუციების ანალიზსა და კრიტიკაზეა ფოკუსირებული.

პროგრამის აქტუალობას განაპირობებს საკვლევი თემატიკის მრავალფეროვნება და თანამედროვეობასთან შესაბამისობა.

მომავალი მკვლევრები სიღრმისეულად გაიაზრებენ იმ მულტიდისციპლინული და ინტერკულტურული კომუნიკაციების მოდელებს, რომლებიც მედიის განვითარებას, ასევე აუდიტორიაზე მედიის ზემოქმედებასა და უკუგებას განაპირობებს. მაგისტრანტები შეისწავლიან საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტრატეგიებს, ინტერპერსონალურ კომუნიკაციებს, გაზომავენ მედიის სოციალურ და კულტურულ ზემოქმედებას და სხვ.

სამაგისტრო პროგრამა დაეხმარება მაგისტრანტს, განსაზღვროს საკუთარი კვლევითი ინტერესები, შეარჩიოს საკვლევი თემა და სიღრმისეულად შეისწავლოს იგი. მესამე სემესტრში სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომის ერთ მონაკვეთს - კვლევის დიზაინს წარმოადგენენ, ხოლო თავად ნაშრომს, მომდევნო სემესტრში ინტენსიური კვლევის შედეგად დაასრულებენ.

პროგრამა ხელს შეუწყობს მაგისტრანტის აკადემიურ და პროფესიულ წინსვლას. იგი შეძლებს კვლევების მომზადებაში მონაწილეობას და თავადაც, დამოუკიდებლად აწარმოებს მედიაკვლევებს. პროგრამა უზრუნველყოფს მაგისტრანტის ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას. პროგრამაზე სწავლისას, მაგისტრანტებს შეეძლებათ შეძენილი კვლევითი კომპეტენციების ამაღლება: (I-COMs), საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში ჩართვა, კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნება.
მაგისტრანტები იმუშავებენ მედიამონიტორინგზე, მედიაინსტიტუტების მუშაობის შეფასებასა და მედიის კრიტიკულ ანალიზზე. კვლევითი მეთოდების გამოყენებით მოამზადებენ ნაშრომებს, რომლებიც გაცნობის მიზნითა და უკუგების მოლოდინით წარედგინება დამსაქმებლებს. აღნიშნული მიმართულებით, სამაგისტრო კვლევები საუნივერსიტეტო კვლევითი და აკადემიური პოტენციალის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი კონტრიბუცია იქნება.

პროგრამა, დიდწილად, შრომის ბაზარზე, მის მოთხოვნებსა და განვითარებაზეა ორიენტირებული. კვლევები როგორც ფუნდამენტურ, ასევე გამოყენებით მიმართულებებს მოიცავს.

სადღეისოდ, შრომის ბაზარი ქმედით მედიაკვლევებს საჭიროებს. ამ მიმართულებით არაერთ პროგრამას ახორციელებს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოებული ხარისხიანი მედია–კვლევები ეხმარება მედიაბაზარს საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებასა და განვითარებაში. კონკურენციის პირობებში, მულტიდისციპლინური კომპეტენციების მქონე კადრის არჩევა დამსაქმებლისთვის დამატებითი მოტივაციაა.

პროგრამის მოლოდინები რეალისტურია. კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივა და პროფესიული მიღწევების ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამა ამზადებს მაღალკვალიფიციურ კადრებს. ასევე აჩენს გონივრულ მოლოდინს, რომ შეიქმნება ღირებული პროდუქცია, რომელიც სასარგებლო იქნება დარგის განვითარებისთვის.

მაგისტრანტები მასკომუნიკაციისა და მედიის კვლევების განხორციელებას სწავლობენ უახლესი მეთოდებითა და მიდგომებით. კვლევების მოსამზადებლად შეუძლიათ ლიტერატურის მიმოხილვის დაწერა, მიზნებისა და ამოცანების, საკვლევი კითხვების, ჰიპოთეზების სწორად იდენტიფიკაცია, მეთოდის სწორად შერჩევა, თეორიული ჩარჩოს მომზადება, შედეგების დამუშავება, კვლევის პერსპექტივის დასახვა, რეკომენდაციების შემუშავება. ასევე შეუძლიათ მუშაობა დადგენილი დედლაინის დაცვით ინდივიდუალური დროის სწორად მართვა, კვლევის შედეგების ტრანსფერი, მედიის მრავალფეროვნების, გამოხატვის თავისუფლების, მედიაგარემოსა და ჟურნალისტთა უფლებების შესწავლის კუთხით მუშაობა და სხვ.

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე დაიშვებიან აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრის ხარისხის მქონე აბიტურიენტები. სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე. მისაღები გამოცდები მოიცავს წერით გამოცდას და გასაუბრებას მიმღებ კომისიასთან.

ზ) სწავლის შედეგები: პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე. კურსდამთავრებულს შეუძლია მუშაობის დაწყება და/ან გაგრძელება, ასევე დამსაქმებლებთან საკუთარი შესაძლებლობების ადეკვატურად დემონსტრირება. მაგისტრი შეძლებს თავისი კვლევითი პოტენციალის განვითარებას ან/და ამ რესურსის პრაქტიკულად გამოყენებას.

მაგისტრი შეითვისებს შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება	• სიღრმისეულად იცნობს მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის კვლევის მეთოდებს; ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის თეორიებს და განვითარების ისტორიას; • სიღრმისეულად იცნობს საზოგადოების სტრუქტურას, მისი ინფორმირებისთვის და ჯანსაღი სოციალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ მოთხოვნებსა და დამოკიდებულებებს. • გაცნობიერებული აქვს მედიის და მედია-მკვლევრის როლი და მნიშვნელობა საზოგადოებაში;
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	• შეუძლია კონკურენტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება, მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება, აკადემიური საქმიანობის დაწყება; • შეუძლია მასობრივი კომუნიკაციისა და მედიაკვლევის დაგეგმვა, განხორციელება და დროის სწორად მართვა; • შეუძლია კვლევის დიზაინის სწორად აგება; თემის აქტუალობის განსაზღვრა და დასაბუთება; ლიტერატურის მიმოხილვის დაწერა, მიზნებისა და ამოცანების, საკვლევი კითხვების, ჰიპოთეზების სწორად იდენტიფიკაცია, მეთოდის სწორად? შერჩევა, თეორიული ჩარჩოს მომზადება, შედეგების დამუშავება, კვლევის პერსპექტივის დასახვა, რეკომენდაციების შემუშავება. • აქვს აკადემიური წერის უნარი, რომელსაც იყენებს სამეცნიერო მუშაობისას;

	• შეუძლია დამოუკიდებლად და გუნდურად მუშაობა კვლევის წარმოებისას; • შედეგზე ორიენტაციის უნარი; • ფლობს საერთაშორისო კომპეტენციებს (I-COMs) და შეიძლია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში, გამოაქვეყნოს კვლევითი ნაშრომები.
დასკვნის უნარი	• აქვს მასობრივი კომუნიკაციისა და მედიაკვლევის მოსამზადებლად კვლევის თემატიკის შერჩევისა და პრობლემის სწორად იდენტიფიკაციის, პრიორიტეტების განსაზღვრის და გააზრების უნარი; შეუძლია დაასაბუთოს კვლევის პრაქტიკული ღირებულება დაინტერესებული მხარეებისათვის; • აქვს არგუმენტირებული მსჯელობის, განმარტების, ანალიზისა და სინთეზის უნარი; • აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი და შეუძლია შეაფასოს მედიაგარემო, მედიაინსტიტუტების ფუნქციონირების სტანდარტები და სხვ.
კომუნიკაციის უნარი	• კვლევითი სამუშაოს წარმართვისას შეუძლია შესაბამის წყაროებთან, კოლეგებთან, ფართო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის დამყარება; • შეუძლია კვლევითი საქმიანობისას კომუნიკაციის სწორად წარმართვა, ინტერვიუების დაგეგმვა, მოდერატორობა; • აქვს კითხვის სწორად დასმისა და მოსმენის უნარი; • აქვს ინფორმაციის გადმოცემის/პრეზენტაციის უნარი. • აქვს აუდიტორიაზე/მომხმარებელზე ორიენტაციის უნარი; • აქვს მულტიმედიის აღქმისა და სიღრმისეული შესწავლის უნარი; • შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიულ დონეზე კომუნიკაციისათვის და სამეცნიერო კვლევისთვის. • შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ინგლისურად კომუნიკაცია.
სწავლის უნარი	• შეუძლია მიღებული ცოდნა გამოიყენოს, როგორც მყარი საფუძველი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის, აკადემიურ სფეროში ახალი ცოდნის დისტრიბუციისთვის, დამატებითი დარგობრივი და მულტიდისციპლინარული ცოდნის მიღებისა და გაღრმავებისთვის; • შეუძლია არჩევანის გაკეთება მომავალი კვლევის დაგეგმვის, კვლევის პერსპექტივის საჭიროებების კუთხით.

	• აქვს სხვადასხვა წყაროსთან მუშაობის, ლიტერატურის, დოკუმენტების დამუშავება-შესწავლის უნარი; • მაგისტრატურაში მიღებული ცოდნის საფუძველზე, კურსდამთავრებული შეძლებს აკადემიური სწავლის გაგრძელებას და სამეცნიერო კარიერის დაწყებას დოქტურანტურაში.
ღირებულებები	კონკურენტულ სამეცნიერო გარემოში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან, მედიაინსტიტუტებთან თანამშრომლობის გზით, კურსდამთავრებული ხელს უწყობს როგორც მედიის განვითარებას, ასევე დემოკრატიული საზოგადოების წინსვლას, იცავს პროფესიული და აკადემიური ეთიკის ნორმებს. კურსდამთავრებულს გააზრებული ექნება მასკომუნიკაციის მკვლევრის როლი და მნიშვნელობა დემოკრატიული, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სტუდენტსა და შრომის ბაზარზე ორიენტირებული სწავლების განხორციელება მოიცავს სწავლის შედეგების მიღწევის სხვადასხვა მეთოდს: გონებრივ იერიშს, ლექცია-სემინარებსა და სამუშაო ჯგუფებს, პრაქტიკულ დავალებებს, როლურ და სიტუაციურ თამაშებს, დისკუსიებს, ასევე სხვა მეთოდებს, რომელთა გაზომვადი შედეგები აისახება შეფასების სისტემაში. ინტერაქტიული და მოქნილი სწავლების პროცესის დასაგეგმად და შეფასების სისტემის მეტი გამჭვირვალობისთვის, გამოიყენება თსუ–ს ელექტრონული სწავლების პორტალი (e-learning.tsu.ge).

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტების შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის წესდებასთან. სტუდენტი ყოველ საგანში მოწმდება ECTS–ის სისტემით (კრედიტის მინიჭების საფუძველზე), 100-ქულის ფარგლებში. შეფასების მეთოდებით ადეკვატურად მოწმდება პროგრამით. განსაზღვრული სწავლის შედეგები და მიღწევები. შეფასებისას გამოყენებულია მრავალფეროვანი კომპონენტები, მაგ: აქტიურობა, შუალედური შემოწმებება, პრაქტიკული და კვლევითი დავალებები, დასკვნითი გამოცდა, პრეზენტაციები და სხვ. კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოცდაში გათვალისწინებულია წერითი კომპონენტი ან წერითი და ზეპირი კომპონენტი. სტუდენტები ფასდებიან მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე. სამაგისტრო ნაშრომში კრედიტის მინიჭება ხორციელდება ნაშრომისადმი დადგენილი მოთხოვნებისა და პროცედურების შესრულების შემთხვევაში.

შეფასების სისტემა		
A	91 -100	ფრიადი
B	81 -90	ძალიან კარგი
C	71 -80	კარგი
D	61 -70	დამაკმაყოფილებელი
E	51 - 60	საკმარისი
FX	41 - 50	ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
F	0 – 40	ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

კ) სასწავლო გეგმა, სწავლის ორგანიზების თავისებურებების მითითებით: იხილეთ დანართი

ლ) პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი მანანა შამილიშვილი და ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი

მ) დასაქმების სფეროები: პროგრამა ეხმარება მაგისტრანტს აკადემიურ და პროფესიულ წინსვლაში; ასევე, შესაძლებლობას აძლევს მას დასაქმდეს ყველა სახის მედიასა და საინფორმაციო სამსახურში, პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, ანალიტიკურ–საკონსულტაციო სააგენტოებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, მედიის და კომუნიკაციების კვლევით ორგანიზაციებში, სარეკლამო სააგენტოებსა და მედიამონიტორინგის კომპანიებში). ასევე, შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას მომიჯნავე სპეციალობით დასაქმებისთვის.

ნ) დამატებითი ინფორმაცია

1.1. **პროგრამის ანალოგი:** პროგრამები მსგავსი სახელწოდებით ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის ათეულობით წამყვან უნივერსიტეტში, მათ შორის ისეთ უნივერსიტეტებში, როგორებიცაა: დენვერის

უნივერსიტეტი(აშშ), ჩრდილოეთ-კაროლინას უნივერსიტეტი ჩაპელ ჰილში (აშშ), ჯორჯიის უნივერსიტეტი (აშშ), ფლორიდას უნივერსიტეტი(აშშ), და სხვ.

პროგრამა ჩართულია ტემპუსის (TEMPUS) პროგრამაში: „აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციის განვითარება კულტურული და სტრუქტურული ადაპტაციის გზით“ (“Promoting Internationalization of HEIs in Eastern Neighborhood Countries through Cultural and Structural Adaptations”), დამფინანსებელი: ევროსაბჭო. სხვადასხვა კურსების შემუშავებაში ჩართულნი არიან მედია განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციები („დოიჩე ველე აკადემია“, გერმანია) და არასამთავრობო ორგანიზაციები. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტს დამატებით აძლიერებს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები.

1.2. სტუდენტთა რა რაოდენობის მომსახურეობა შეუძლია პროგრამას: 20

1.3. **პროგრამის განხორციელებაში ჩართული პედაგოგების რაოდენობა:** პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 26 პედაგოგი, აქედან: მიმართულების აკადემიური პერსონალიდან – 8, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან -7, მოწვეული პედაგოგი – 9, უცხოელი პედაგოგები –2.

2. **დანართები:**
ა) სასწავლო კურსის სილაბუსები (*იხილეთ დანართები).*
ბ)ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ დანართის (CV) სახით;
იხილეთ დანართები

გ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ

პროგრამის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზად გამოყენებულია თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული მატერიალური რესურსი. მათ შორის: აუდიტორიები, კომპიუტერები, პროექტორები, ლეპტოპები, სამონტაჟო კომპიუტერები, რეკორდერები, ვიდეოკამერები, დიქტოფონები და სხვ., უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა (მათ შორის, მსოფლიო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებთან).

დ) პროგრამის დამტკიცების ასლი (*იხილეთ დანართი)*

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

<u>უნივერსიტეტი</u>/ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / **<u>მიმართულება</u>:** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: მასობრივი კომუნიკაციის ა და მედიის კვლევები

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი / კოორდინატორ(ებ)ი: მანანა შამილიშვილი, მარი წერეთელი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №57/2011, დანართი 45

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი): დადგენილება №107/2011-10 ოქტომბერი, 2011; დადგენილება №16/2012-1 მარტი, 2012; დადგენილება №38/2012-28 მაისი, 2012; დადგენილება №30/2013 -18 თებერვალი, 2013; დადგენილება № 17/2014-19 თებერვალი, 2014; დადგენილება №81/2014-4 სექტემბერი, 2014; დადგენილება №68/2015 - 6 ივლისი, 2015; დადგენილება № 137/2015 - 28 დეკემბერი 2015; დადგენილება № 22/2016 - 19 თებერვალი, 2016; დადგენილება № 9/2017 - 23 იანვარი, 2017; დადგენილება №21/2017 - 20 თებერვალი, 2017; დადგენილება № 90/2017 - 25 ივლისი, 2017; დადგენილება №199/2018 - 13 სექტემბერი, 2018; დადგენილება №25/2019 - 4 მარტი, 2019; დადგენილება №76/2020 - 30 ივლისი, 2020

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2011-2012

პროგრამის სტრუქტურა: „მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები“

სავალდებულო კურსები/მოდულები : 70 კრედიტი (ECTS)										
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი	შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩაბარება			შემოდგომა	გაზაფხული	
1	თანამედროვე ქართული მედიის კრიტიკული ანალიზი	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		√	მარი წერეთელი
2	მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები	5	30	15	6	74	წინაპირობის გარეშე	√		ხათუნა მაისაშვილი
3	მეოცე საუკუნის ფილოსოფიურ-ესთეტიკური მიმდინარეობები და თეორიები	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე		√	ადა ნემსაძე
4	მასკომუნიკაციის თეორიები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	√		ეკატერინე ბასილაია
5	სამაუწყებლო პროდიუსირება	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	√		გიორგი

										ჩართოლანი რევაზ ჭიჭინაძე
6	მონაცემთა ანალიზი და მედიარეპროდუქცირება	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	√		ნათია კუპრაშვილი
7	მედია და დემოკრატიზაცია	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		√	მანანა შამილიშვილი
8	მედიისა და კომუნიკაციის კვლევის დიზაინი	5	15	15	7	88	მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები		√	ხათუნა მაისაშვილი
9	სამაგისტრო ნაშრომი	30						√	√	
საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები/მოდულები 45 კრედიტი (ECTS)										
10	ადამიანის უფლებები და მედია ანალიზი	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	√		დალი ოსეფაშვილი
11	ინფორმაციული საზოგადოების თეორიები (კულტურის და მედიის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	√		ამირან ბერძენიშვილი
12	საინფორმაციო ომები: პოსტსაბჭოთა საქართველო და მედია	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე		√	თამარ ბელქანია ზაზა ცოტნიაშვილი
13	სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის SPSS	5	15	15	7	88	წინაპირობის გარეშე	√		ვანო კეჭაყმაძე
14	მედია გარემოს შეფასება და მონიტორინგი	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	√		მამუკა ანდღულაძე
15	მედია და სასამართლო: დემოკრატიული და ღია საზოგადოების საფუძვლები (ინგლისურ ენაზე)	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		√	პანდელი პანი დავით ქუტიძე
16	მედიამონიტორინგი და შეფასება	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	√		მაია ტორაძე

17	დღის მედიასა და პოლიტიკაში	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	√	√	მარინა მუსხელიშვილი
18	გლობალური კომუნიკაციები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		√	ეკატერინე ბასილაია
19	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები და მედია	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		√	სესილი გოგიბერიძე
20	პროექტის მართვა (კონფლიქტების ანალიზი და მართვის პროგრამიდან)	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	√		თეონა მატარაძე
21	საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორიები	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	√		მარიამ გერსამია
22	მედიაპროგრამირების სტრატეგიები	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	√		ნინო მახვილაძე
23	მედიაციისა და ფასილიტაციის პროცესი	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	√		რევაზ ჯორბენაძე მარეხ დევიძე
24	სემიოტიკის საფუძვლები	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე		√	მანანა კვაჭანტირაძე
25	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი და კვლევა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		√	მარიამ გერსამია
26	მედია ფსიქოლოგიის თეორიები და ტექნოლოგიები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	√		მარიამ გერსამია სონია უტცი
27	სოციალური მედიის გამოყენებითი ეფექტები (ინგლისურენოვანი ინტენსიური კურსი)	5	15	15	8	87	წინაპირობის გარეშე	√		მარიამ გერსამია სონია უტცი
28	მედიასამართალი: ყალბი ახალი ამბები და დეზინფორმაცია	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	√		ნინო შენგელია
თავისუფალი კურსები/მოდულები _ 5 კრედიტი (ECTS)										

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი